# ხელშეკრულება №25
## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

დაბა ხელვაჩაური 28 სექტემბერი 2012წელი

სოფ. განთიადი

ერთი მხრივ: სსიპ განთიადის საჯარო სკოლა (ხელვაჩაური, სოფ. განთიადი) მისი სახით სკოლის დირექტორი ლამარა კოხრეიძე შემდგომში "შემსყიდველი" და მეორე მხრივ შპს „გზები" დირექტორი ირაკლი აბაშიძე მისი სახით, შემდგომში "მიმწოდებელი", დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სკოლის ეზოში ასფალტის დასხმა.

1.2 წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10-ე მუხლის III-ე პუნქტის, საქართველოს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 03 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 23-ე მუხლის II-ე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე.

### 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 5 ტონაX175-00=875/რვაასსამოცდათხუთმეტი/ლარი

2.2 ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" ხორციელდება "მიმწოდებლის" მიერ საქონლის წარმოდგენის შემდეგ 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

29.4 ანგარიშსწორების განხორციელებისათვის "მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს ანგარიშფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი.

29.5 "მიმწოდებელი" ვალდებულია ანგარიშფაქტურაზე მიუთითოს საქონლის რაოდენობა და წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშფაქტურა.

29.6 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

29.7 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

### 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

29.8 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობათა დაცვით;

ბ) "მიმწოდებლის" მიერ მიწოდებული საქონლის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის შესახებ გონივრულ ვადაში აცნობოს "მიმწოდებელს" და დაუნიშნოს ამ დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრის დრო. წინააღმდეგ შემთხვევაში "შემსყიდველი" უფლებამოსილია გააუქმოს ხელშეკრულება.

29.9 "შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) მოახდინოს "მიმწოდებლის" მიერ მიწოდებული საქონლის ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;.

29.10 "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს მის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შესაბამისად;

გ) ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მოითხოვოს უკვე მიწოდებული საქონლის ანაზღაურება შესაბამისი გაანგარიშების წარმოდგენის შემდგომ.

29.11 "მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონლის შესახებ ყველა სახის დოკუმენტაცია.

ბ) შეტყობინების მიღებისთანავე "შემსყიდველის" მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში მოახდინოს ნაკლისა თუ დეფექტის დროულად აღმოფხვრა "შემსყიდველის" მიერ რაიმე დამატებითი ხარჯების გარეშე

## 30 საქონლის მიღება-ჩაბარება

30.3 საქონლის გადაცემა ხდება შემსყიდველის ადგილსამყოფელის მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

30.4 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

30.5 მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მიღებული საქონლისათვის.

30.6 საქონელი ან მისი ნაწილი და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

30.7 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად,წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით.

## 31 პასუხისმგებლობა

31.3 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში ვადის გადამცილებელი ვალდებულია ყოველიდ ვადაგადაცილებული დღისათვის მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.25%.

## 32 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

32.3 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ წერილობითი შესწორების გარდა.

32.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობითი სახით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

32.5 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

32.6 ხელშეკრულების პირობებს ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 33 ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

33.3 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

33.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

33.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე;

ა) თუ შემსყიდველისთვის გახდა ცნობილი, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები აღმოჩნდება ყალბი;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

33.6 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ სხვა შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

## 34 ფორს-მაჟორი

34.3 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხეშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

34.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება, ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი

ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

35 სადაო საკითხების გადაწყვეტა

35.3 მხარეთა შორის მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ირგვლივ წამოჭრილი სადაო საკითხები წყდება მოლაპარაკებებისა და ურთიერთშეთანხმების გზით.

35.4 თუ წამოჭრილი დავების ირგვლივ მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს

36 შეტყობინება

36.3 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

36.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

37 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

37.3 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2012წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით.

38 გადასახადები და ბაჟები

38.3 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და მოსაკრებლის გადახდაზე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად და აქვს ერთნაირი იურიდიული ძალა, და ინახება მხარეებთან.

**მხარეთა იურდიული მისამართები და რეკვიზიტები:**

შემსყიდველი: სსიპ განთიადის სკოლა ს/კოდი 248386651
ანგარიშის № GE45LB1121177550228000
მიმღები ბანკი სს „ლიბერთი ბანკი" ხელვაჩაურის ფილიალი
ბანკის კოდი 220101457

სკოლის დირექტორი ლ. კობრეიძე

მიმწოდებელი: შპს „გზები" საიდენტიფიკაციო კოდი 245425393
ანგარიშის №GE28BR0500003605000382
მიმღები ბანკი რესპუბლიკა ბანკი ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი 220101794

დირექტორი: ი. აბაშიძე